

ს. ა. მ. ა. ა. ა. ა.

საქართველოში სსრ



ს. ა. მ. ა. ა. ა.



ნ. მ. კობახიძისა

ბართლომეს ღამე თბილისში

ტყუპისცალია

სამართლის მცოდნე არა ვარ თუმცა,
მაგრამ იმდენი კი მისწავლია,
ტანკით დაცული დემოკრატია
რომ ტირანიის ტყუპისცალია!

სახველეთო ნიგოზანს

ვაი, ნიჩბისმცემელთა და
მაჟინროვებელთა!..
ეჭვიკიელი

ბარით გაჭერი ქართული ვაშლი,
მეზაღე ჩეხე იმავე ბარით!..
მიკვირს, უმწეო ქალწულთა ჯალათს
რისთვის გინოდეს „სამშობლოს ფარი“?!

ჩოგოტი ჯარისკაცები

რატომ გიკვირს, რომ ქალებთან
ომში ჯარი ჩაებას?
რობოტების რა ბრალია —
ასრულებდნენ ბრძანებას!

შხამის უარგოვალის სიტყვა და საქმე

გარეთ ქვეყანას არწმუნებ —
„შხამი შლის თვალთა სინათლეს!“
შინ მოხვალ — საქმით ამტკიცებ,
რომ გითქვამს სრული სიმართლე:
დანამლე შენი ხალხი და
სიბრძნეს ქადაგებ თალხიდან!

რჩევა „მესანგრეავს“

არ გამთელდება ჭრილობა დავით,
არ გამთელდება ერის იარა!
ჯობდა, გემურომათ გულით და თავით,
გაზით და ბასრი ბარით კი არა!

აკაკი გელოვანი

ჩემის კაცობის
დამქცევნო,
ლანძღვასაც
მემართლეზითა?
გრისხავდესთ
ცა-ქვეყნის მადლით,
უსამართლობას
შვრებთა!

ვაჟა

არცა ბეზღობა, —
თუ უწმინდური ძალ-ღონე
გაცვეთილის კაცისა, პირახ-
დელი დაიარება, არამც-თუ
უსირცხვილოდ, თავმოწონე-
ბითაც ფარფაშობს და ღუ-
კმა პურს აწვდის მახე-
ლარს, — მაშინ პირდაპირ
შეგვიძლია ვთქვათ, რომ სა-
ზოგადოების წყობას საძირ-
კველი შერყევიაო და აღსა-
სრული მოახლოებიაო.

ძვეყანაზედ მრავალ-
გვარი ავკაცობაა, მრავალ-
გვარი სულმდაბლობა და
სალახანობა. ხოლო ყველა-
ზედ უარესი, ყველაზედ სა-
ზიზღარი, ყველაზედ ჩირქი-
ანი, — ურცხვობაა.

ილია

ყველა მედროვეს

გეყოს, რაც დღემდე ქაფე და ქაფე,
გეყოს, რაც სახლში ზიდე და ზიდე! —
სულ შენი იყო სამწვადეც, კაფეც,
ყველა რესტორნის კუთხე და კიდე!..
გეყოს, რაც დღემდე გვიქნე თითი,
რაც იბღინძე და რაც იზულუქე!
შეგრჩეს, რომ იყავ ავი და ფლიდი,
შეგრჩეს, რომ ნთქავდი სხვების ულუფებს!..
ვიცი, ვინცა ხარ, ოფლს როგორა „ღვრი“
და თანამშრომლებს სისხლს როგორ უშრობ!..
შეგრჩეს ლალატი ძმაკაცი, მოყვრის,
შეგრჩეს ქალებთან ლლაბუცი უშნო!
შეგრჩეს, რაც ჰყვიდ ქართული მიწა,
ქართული ეზო, ბაღი და ბაღჩა!..
ჰყიდი სკამს, ნამუსს — სახელს იბღინავ
და გასაყიდი სხვა რაღა დაგრჩა?
ჩვენ ისიც ვიცი, — არ ხარ უბოძო,
მიტომ ედები ღობეს და ყორეს!
ვინმემ თუ ქართველს ხელი უბიძგა,
შენ ადგები და წიხლს მიაყოლებ!..
შენს ბნელ საქმეებს, აბა, ვინ აღწერს,
თუნდაც რომ ჰქონდეს ამის სურვილი?!
სხვა რომ ოფლით და სისხლით ვერ აღწევს,
შენ მას აღწევდი მხოლოდ ყურმილით!..
შენს გარდა ქვეყნად ვერ ამჩნევ ვერვის!..
იმაზე არც კი ფიქრობ სრულიად, —
სხვას თუ აქვს გული, სული და ნერვი,
სხვას თუ შია და სხვას თუ სწყურია!..
დღეს დროის საათს შენთვის რომ ქოქავ
და ცხოვრებაზე არა ხარ მწყრალი,
ახალგაზრდობას — ამ ზღვას ბობოქარს —
გესლით ახშობდი სავარძლის ძალით!..
დრო კურნავს ყოველს, შენც მალე წაგშლის, —
შენ, — ბრიყვს და რეგვენს რომ ბრძენად ნათლავ!
გეყოფა ხოტბა, მლიქვნელთა ტაში, —
ეს ყველაფერი თუ შეგრჩა მართლა!..
ჰოდა, დღეს მორჩა, კმარა, გეყოფა,
შეგრჩეს ის ყალბი ქება-დიდება!
ახალთაობის ახალ ეპოქას
შენისთანები აღარ სჭირდება!

ვანო ტინცაძე

სიასტამ პირველად ქალაქში იჩინა თავი, მერე მდინარესავით დაიძრა პერიფერიისაკენ და ჩვენთანაც სოკობივით მომრავლდნენ სახაშუები, საშაქარლაბოები, სახაჭაპურეები, სამკერვალოები, საპურეები...

ჩემი სოფლის ყველა ოჯახში რაღაცას ფიქრობენ, იწყებენ, აკეთებენ, მაგრამ ვერსად შევნიშნე მთხსნელების, მბარავების, კალატოზების, მჭედლების კოოპერატივები.

ათი სული მაინც ვართ ოჯახში და ამ ძალით, იცოცხლე, კაცმა კაი საქმე შეიძლება დაატრილო.

ერთ საღამოს ბიჭებმა კოოპერატივზე ჩამოგადეს სიტყვა.

— თევი მოვაშენოთ! — თქვა ერთმა.

— აჰ, არ ივარგებს!.. მოგვაბრავენ და დაწამლავენ! — თქვა მეორემ.

— აბა, ღორები მოვამრავლოთ! — შემოგვთავაზა მესამემ.

— არ გადამრიოთ!.. ღორების ჭყვირილი მინდა ახლა მე? მომკლა თქვენმა ძაღლებმა! — ნერვულად დაუმატა რძალმა და კარის ნირთხლზე თავჩამოდებულ ბუღდოგს ავად შეხედა.

„ჩიკოს“ აუცი ვერ აიტანა ჩემმა მეუღლემ და დინჯად გვაუსწყა:

— ძაღლების კოოპერატივი გავხსნათ, თვრამეტი ლეკვი გყავდა შარშან, ზედ ჰყვებოდით მაინც!..

— ღმერთო, დაგვიფარე!.. ნადირი ამ ქვეყანაზე არ არის და ლეკვების გამყიდველი თქვენ არ ხართ!.. შნო უნდა ყველაფერს, შნო! — იცოცხლეთ, არ დავრჩივალში.

არჩევანი ისევ მე მერგო.

— ევრიკა! სიცილი გიყვართ?

— კი, თუ ვართ ხასიათზე, — ერთხმად მიპასუხეს.

— ტირილს ნამდვილად სჯობია, — გავაგრძელე მე, — თუმცა ზოგს სხვის გაცინებაზე ისე აუტყდებოდა უღვაშის კანკალი, ტირილი მოგინდებოდა. ზოგსაც ისე ჩამოსტირის ცხვირ-პირი, მისალმების შეგუწინდება, ზოგიც ისე დაგიქნევს თავს, ვერ გაიგებ, გაუხარდა შენი დანახვა თუ დაგემუქრა!.. მოკლედ, ღიმილიანი გამარჯობა, ღიმილიანი

ნი კაცი, მით უფრო ქალი, დიდი სიკეთეა!..

— გვეყოფა ლექცია! გვითხარი ახლა, რას ფიქრობ? — შემაჩერეს.

— თქვენმა შემხედვარემ რა უნდა ვიფიქრო?! თხსნები პირგამშრალია კუთხეში ატუხული და ვენახი კაი ხანია გადავიდა მეზობლისას, მერე რას იზამს, არ ვიცი. ხედავთ, რანაირი კოოპერატივები იხსნება? ადამიანებს ფსიქოლოგიურადაც კი ამზადებენ: გამოცდებისათვის, სიყვარულისათვის, დაოჯახებისათვის, მშობიარობისათვის, დიდაც ცოლისათვის, პენსიონერობისათვის!..

— მერე ჩვენ რა შეგვიძლია? — გადახედეს ერთმანეთს კრიტიკულად.

— იცით, ყველაზე მეტად რა სჭირდება დღეს ხალხს? — გამომცდელად შევუბრუნე კითხვა.

— მშვიდობა!

— მანქანა!
— ფული!
— გამრავლება!
— დემოკრატია!
— გახდომა! — მომაყარეს ზედიზედ.

— სიცილი, სიცილი სჭირდება ყველაზე მეტად! იცით, რა ძალა აქვს მას? იარაღს დაგაყრვეინებს, მტერს შემოგარიგებს, გამოგაჯანმრთელებს, გაგახალგაზრდავებს!.. შეფასებაც კი ძნელია! ახლა რევიზორები რა დღეში ჩავარდებიან?! გემოს ვერ გაუსინჯავ და ფერს, ვერ დათვლი და აწონი, სანამ სამაგისო პრესკურანტს მიუყენებენ, ვიცინოთ და ვიცინოთ! ამასობაში დროც გავა და სიცილის ფასსაც

ძალიან დიდ შეშფოთებას იწვევს ჩვენი მაღაზიები: შიგ არაფერი აღარ არის, ხოლო კოოპერატივებში ისეთივე საჭიროები სამზაგად ფასობს. მკითხველთა ერთი ნაწილისათვის ეს დილემა არ არსებობს, მათ მიჩნიათ, რომ ჩვენში არავითარი კოოპერაცია არ არის — არის მხოლოდ საყოველთაოდ დაკანონებული სბეკულაცია. გაზეთი ბილან

საბ. ბ. ლომიძისა



ვისწავლით!..
— კაი, მარა რით გავაცინოთ ხალხი, რა იმისთანა ჩარლი ჩაბლინები ჩვენ ვართ? — ეჭვიანად იკითხა ერთმა.

— თქვენ რომ გალიფე-აზიაცებს ჩაიცვამთ, ყაბალახით და უღვაშებით, დალაპარაკებაც არ გინდათ, გადაფიჩინდება ხალხი! — გაუსწორა ანგარიში რძალმა მახლებსა და ქმარს.

— მერე რომელი ქართლოს კასრატა შენი ქმარი, ყოველდღე ხალხი რომ აცინოს? — დაუბრუნა ხურდა მახლმა.

— ზაფხულში დედაქალაქის გასტროლიორები რომ გვატყუებენ, იმათზე ნაკლები მაინც არ იქნებით! — დაგვიმედა ქალიშვილმა.

— მაგაზეც ვიფიქრე, — შევაჩერე კამათი, — ერთი ჩაჯდომა ავტობუსში და კვირის მარაგი მზადაა. გუშინდელს მოგახსენებთ: ტალახაძე მეთოთხმეტე ადგილზე გადაიყვანეს თურმე

და სიდედრს დაუჩივლია: — არ იქნა, ამ კაცის შესაფერისი ადგილი არ გამოინახაო! დღევანდელსაც დავუმატებ: ქალები ტარცალობდნენ, თანამდებობის კოლექციას აგროვებსო!.. შნო უნდა ყველაფერს, შნო! ვერ დაინახეთ, ხაშლამაძემ თბილისობაზე როგორ გადარია ხალხი!

კოოპერატივის ორი მიზანი ექნება: ერთი — ხალხი გააციონოს, მეორე — გაფანტული ყბასაცეცევი და თავსაცეცევი შეაგროვოს!

მაშ, ასე: ვხსნიო სიცილის კოოპერატივს! ვეცდებით, სიცილს ფასი არ დაფუკარგოთ, ჩვენც ვიცინოთ და თქვენც გაცინოთ! რა არის ამაში ცუდი? სასაცილოდ არ გვაქვს საქმე თუ? რამდენი ავადმყოფობა განიკურნება: გული, ნერვები, თავი, ხელები (ტაშის დაკვრისაგან)!

აბა, ჰე!.. ფასმა არ შეგაშინოთ ერთი უღუფა სიცილი გიჯობდეთ ერთ მწვადს! რაც მთავარია, დაისვენებთ, გაკუდებით, გახდებით, გახალისდებით!..

ლიანა თოდუა
(ჩოხატაურის რაიონი)

უნებ გუნდი

აქა-იქ გაგონილი

— რა ღირს, მეგობარო, ეს პიანინო?
— გააჩნია, რომელ სართულზე ცხოვრობს!

— ხად ზის ამ ღვინის ქარხნის ყარაული?
— ჭურში, ბატონო!

— შენ, კაცო, „ბატონოს“ მეტი სიტყვა არ იცი?
— ბატონო?



თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი

ფრაზები

- ბავშვობიდანვე ისეთი მატყუარა იყო, რომ როცა გაიზარდა, ზღაპრების წერა დაიწყო.
- ისეთი კონსერვატორი იყო, კონსერვატორიაში ათი წელი სწავლობდა.
- იმდენი იყვირა სადღეგრძელოებში — „ჩანმრთელად ვიყოთ“, რომ არაყმა დაავადდებოდა.
- ისეთი გოლიათი იყო, რომ მაღალია „გოლიათში“ ველარ შედიოდა.
- „დედბ ნახე, მამა ნახე“, — თქვა მასწავლებელმა და კმაყოფილმა ჩამოართვა ხელი მოსწავლის მამიდასა და ბიძას.
- ლამაზი ქალბიძისათვის „პლატფორმაზე“ „პლატფორმებით“ მარტო დგომა საშიშია.
- „თმვეს ძეხვი სჯობიაო“, — თქვა იმედგაცრუებულმა მეთევზემ და მტკვრიდან გასტრონომისაკენ წავიდა.
- „წოპაპატი“ გაიარა, კვადრისტის ფეხები ჭინხის „მაქსი-იუბკით“ დაიფარა.
- ძველფარმა „შვილებს ვფიცავარო“ იძახდა და თურმე უშვილო იყო.
- თაბჭმა თხარა, თხარა და შემდეგ ხარი გვერდზე გადადო, ცოტას დავისვენებო.



გულალტარიაში

— ქალბატონო, ბავშვის დახმარების ფულს მაძლევთ და უშვილობისას მიკავებთ?

— ჭიჭიკია, ვინაა, ბიჭო, ეს ვარიასავით გოგო?

— ვარიასავით კი არა, სუფთა მელაია: ორი დედალი შემიჭამა სახლში!

— ქალბატონო, ხუთი წუთი სულ „ალლოლოს“ ვუვიროდი და ამაში მახდევინებთ ფულს?!

— მიირთვით, სტუმრებო! დღეს ისეთი სიძვირე იყო ბაზარში, რომ...

— ვის ახაფლავებენ?
— მკვდარს!

— ამ ქალაქში, ბატონო, სუყველა სისხლით ნათესავები ვართ!

— ეს როგორ?!

— კოლოების წყალობით..

— იმ სახლში ხანძარია?

— არა, მთელი ოჯახი ეწევა სიგარეტს!

— დამის მორიგე მინდოდა!

— სძინავს ბატონო!

— შენ იკითხე, შე უბედურო, თორემ ჩემს გოგონებს სულ კოცნა-კოცნით მოაცილებენ სახლში, შენს მუტრუკებს კი — ცემა-ტყეპით!

— ჩემი თუ არ გრცხვენია, შენი შაიშუნი თავის მაინც არ გრცხვენია?!

— რამ დააბრმავა ასეთი ახალგაზრდა კაცი?

— ფულმა!

— რატომ დაარქვეს ამ რესტორანს „აბასთუმანი“?

— იმიტომ, რომ აბაზში თუმანს გვახდენებენ!

— ეს ჭვენი მწერალი რას წერს ამდენ ხანს?



ბიუროკრატი

ეს ქალაქი მომიტანეო — მივუტანე; ის ქალაქი მომიტანეო — მივუტანე; ორი ქალაქი ერთად მომიტანეო — მივუტანე; ბეჭედი დაარტყმევინე და ისე მოიტანეო — ასეც მოვიჭეცი; ოთხშაბათს ათ ნათზე მოდიო — მივედი; სამ საათამდე დაკავებული ვარო, მომამახა, — დაველოდე; ექვს საათზე მითხრა: „იმ ოთხშაბათს მოდიო“, თანხმობის ნიშნად თავი დავუჭინე; იმ ოთხშაბათს რომ მივედი, ასე მითხრა: — ამ ქალაქებს ვადა გასული აქვს და ახალი მოიტანეო. ბანკიდან გამოვუტანე ახალმოკრილი ქალაქები და... საქმეც გაშიკეთა!



— შემოქმედებითი მივლინების ანგარიშს!

— ვინ უშვებს ყველაზე მაგარ ავტომანქანას?

— ჩვენები!

— რა, იაპონიის და გერმანიის მანქანებს სჯობია ჩვენი მანქანები?

— რაც ჩვენთან გადათხრილი გზებია, რომელი „მერსედესი“ ან „ტოიოტა“ გაუძლებდა?!

სსსრკ

ნოველა

კაფეში ხალვათობა იყო, მაგიდას ოთხივე მხრიდან ოთხი სკამი ედგა, ერთზე მე ვიჯექი, მეორეზე პორტფელი და ქუდი მდებოდა, ვსაუბრობდი.

სად იყო და სად არა, მაგიდაზე ერთმა ჯველმა შემოდგა ლანგარი, ხაჭო, ბლინები, ნამცხვრები გადმოალაგა და, ვიდრე ნახმარ ლანგარს ადგილზე მიიტანდა, მე, ახლანდელი ჯველების ამბავი რომ ვიცე, ჩემი პორტფელისა და ქუდისაკენ გამექცა მზერა.

— ესენი თქვენებია? — მომესმა თავს ზემოდან.

ფიზიოლოგიური პროცესის იმ სტადიაში ვიყავი, ყლაპვას რომ ეძახიან, დანარჩენ ორ სკამზე მუნჯურად მივანიშნე, რომელიმეზე დაბრძანდით-მეთქი.

— ძალიან არ მიყვარს გადანყვებების შეცვლა, ხომ ხედავ, ამ სკამთან მიწყვია თეფშები!

— სხვა სკამთან დაგეწყო, ბატონო, თავიდანვე აგერჩია თავისუფალი სკამი!

— პრინციპში ეს სკამიც თავისუფალია, მე კი ძალიან არ მიყვარს უპრინციპო დათმობები!

— რაკი ასეა, ეგ პორტფელი იქით გადადევ! — ქუდი ავიღე და მუხლებზე დავიდე.

— ძალიან არ მიყვარს სხვისი ბარგის თრევა! — განგებ გადაეჭა ყოველი სიტყვა.

მხრები ავიჩეჩე და ამ მოძრაობაში ასეთი შინაარსი ჩავტიე: რაკი არ გიყვარს, რა გაეწყობა, ფეხზე იდექი-მეთქი.

ჩვენს მაგიდას ელევანტური ჩაცმულობის ქალბატონმა ჩაუარა.

— ხეპრე! — ჩაილაპარაკა ჩვენს გასაგონად.

ჯველმა ნიშნის მოგებით შემომხედა და თვალი ჩამიკრა, მიმახვედრა, შენზე ამბობსო. არაფერი შეგეშალოს-მეთქი, თვალე-ბითვე მივუგე. საუბრე მოვათავე, ნამოვდექი და ჯერ ქუდი დავიხურე აუჩქარებლად, მერე პორტფელს ნამოვავლე ხელი.

ჯველმა სწორედ ის სკამი დაისაკუთრა, სადაც ჩემი პორტფე-

ლი იდო წუთის წინ და კმაყოფილი იმით, რომ ბოლოს მაინც მიაღწია მიზანს, დანა-ჩანგლით შეიარაღდა.

მეორე დილით იმავე მაგიდას ვუჯექი, თავისუფალი სკამი მხოლოდ ერთი იყო და მასზე ჩამოვდე პორტფელი.

— შეიძლება? — ისევ ის ჯველი დამადგა თავს.

პორტფელი მუხლებზე დავიდე ისე, რომ დაწყებული ფიზიოლოგიური პროცესი არ შემინწყვეტია.

ჯველი ჩამოჯდა, პატარა ხელჩანთა მაგიდის ძვიდზე შემოდო და ჩანგალს ფხა გაუსინჯა.

— ვსწავლობო, არა? — ჩამიღიმილა.

— მეტ-ნაკლებად, — მის ჩანთაზე გადავიტანე მზერა.

— თუ დრო წინ ბევრი გაქვს, კაცს კიდევ გეშველება, მაგრამ თუ დრო იწურება, მაშინ რას შვრები? — მისმა მზერამ ჭაღარა თმა ამილანდა.

— პაპაჩემი ას შვიდი წლისა იყო, როცა უცხო დედაკაცმა უჩივლა, ჩემზე ძალა იხმარაო.

გაოცებულმა შემომხედა, ისე გაოგნდა, რომ ფიზიოლოგიური პროცესიც კი შეწყვიტა, რაც მეტად იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მის ასაკში.

მეტი აღარაფერი გვითქვამს და არც ერთმანეთისათვის შეგვიხედავს, მას მაგიდაზე ედო ჩანთა, მე მუხლებზე მედგა პორტფელი და ორივენი ბოლომდე ამ პოზაში დავრჩით.

მომდევნო დღეს იმ მაგიდას აღარ გავკარებვიარ, სულ განაპირა მაგიდასთან გადავინაცვლე, თან თვალი მეჭირა, ის ჯველი როგორღა მოიქცევა-მეთქი.

იმანაც გადაინაცვლა, მე რომ დასავლეთისაკენ ავიღე ორიენტაცია, მან აღმოსავლეთი ამჯობინა.

ერთხანს ასე ვსაუბრობდით და ერთმანეთიც თითქმის დავივწყეთ, რომ ის ჯველი ერთ მშვენიერ დღეს ისევ იმ მაგიდას მიუჯდა.

მეორე დილით მეც მის პირისპირ ჩამოვჯექი და პორტფელი სწორედ იმ თავისუფალ სკამზე შევაჩოჩე, სადაც მისი ჩანთა იდო.

ერთმანეთს შევხედეთ, ვუყურეთ, ვუყურეთ და უცბად სიცილი ნაგვესკდა.

— კაი კაცი ყოფილხარ! — ვუთხარი მე.

— გმადლობ, ჩემო ბატონო! — თავი დამიკრა.

დაზავების ნიშნად ქალაქის ხელსახოცები ავაფრიალეთ, დანა-ჩანგალი გავწმინდეთ და ბლინებთან ხელჩართული ბრძოლა გავმართეთ.

კაფეში ხეპრე აღარავინ იყო.

ელგუჯა მერაბიშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა





ს. ა. ლომიძის

(გაგრძელება. დახაწყისი იხ. № 11, 12)

პროკურორი (ხმაბალა კითხულობს): ეს ცნობა ეძლევა ნოე მეხუთეს მასზე, რომ ბავშვის ჩასახვის პერიოდში იმყოფებოდა მეტროპოლიაში მინისტრის თანამდებობაზე და ყოვლად შეუძლებელი იყო მას და ბავშვის დედას შორის რაიმე ინტიმს ადგილი ჰქონოდა.

ქალი: მე კი ცნობა მაქვს, რომ ჩემს შვილს ნოე მეხუთის სისხლი აქვს. (ცნობას აწვდის პროკურორს).

ნოე V: მეც მაქვს ცნობა, რომ ბავშვს ეძვევრადის სისხლი აქვს!

პროკურორი (იგივე ნოე V): ცნობას ერთი და იგივე ექიმი იძლევა. შემოიყვანეთ მონემ ექიმი! (ნოე V ადგება მოსამართლის სკამზე. შემოდის თეთრხალათიანი მონემ).

ექიმი (ყვირს): ვილაპარაკებ მხოლოდ სიმართლეს, სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს! (კოცნის ნიგნს, რომელსაც აწერია „მართალი სამართალი“).

მოსამართლე (იგივე ნოე V): რა საბუთის მოყვანა შეგიძლიათ, რომ ბავშვის მამა მოქალაქე ბარბაბა ეძვევრადია?

ექიმი (ჯიბიდან იღებს ორ სინჯარას): შეხედეთ, ერთში არის ბავშვის სისხლი, მეორეში კი — ეძვევრადისა! ორივე ცისფერია.

პროკურორი (იგივე ნოე V): თქვენ ასევე გაგიციათ ცნობა, რომ ბავშვი ნოე მეხუთეს ეკუთვნის. ამას როგორაა ასაბუთებთ?

ექიმი (უბის ჯიბიდან კვლავ ამოიღებს ორ სხვა სინჯარას, ორივეში ნითელი სისხლი ასხია): აი, ნახეთ, ერთი და იგივეა? **დარბაზი:** დიას!

ექიმი: ჰოდა, ერთი ბავშვს ეკუთვნის, მეორე კი — ნოე მეხუთეს!

გიორგი: თქვენი თქმით გამოდის, რომ ბავშვი ერთდროულად ორი მამის სისხლს ატარებს, ასეთი რამ კი მედიცინას არ გაუგონია!

ექიმი: მედიცინაში არსებობს პარადოქსული სასწაულები. ამ ბავშვის ბიოფიზიოლოგიური თვისება უნიკალურია, ბავშვის სისხლის ანალიზი 30 წამს ნითელ სისხლს აჩვენებს და მომდევნო 30 წამს — ცისფერს.

გიორგი: გამოდის რომ ბავშვს ორი მამა ჰყავს?!

ქალი: და არც ერთი მასზე ზრუნვას არ ფიქრობს!

ექიმი: ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ ჩვენში მოხდეს, მაღალი კულტურის ერში! ჩვენ ყველაფრის პიონერები ვართ, გესმით, ბავშვს ორი მამა ჰყავს?!

გიორგი (ღიმილით): მამ, ბავშვს ორი მამა ჰყავს და ორივე უარს ამბობს მასზე ზრუნვაზე?!

ნოე II: ჩვენ ამას არ დავუშვებთ, ბავშვს ფულადი დახმარება უნდა დაენიშნოს. თქვენ რას იტყვით, ბატონო გიორგი?

გიორგი (ირონიულად): თუკი მედიცინა აღნატურებს, რომ ბავშვს ორი მამა ჰყავს, აღნიშნავთ ორივემ უნდა გადაუხადოს!

ნოე II: ვაშა!.. თქვენ ჭეშმარიტი იურისტი ხართ!

ბარბაბა: მე ფული არ მაქვს, საიდან უნდა გადაუხადო?

ნოე II: წინადა გამოვეთ თქვენი „ნოეები მოვიდნენ“!

ბარბაბა: ერთსტროფიანი ნიგნი სად გაგონია? **ნოე II:** სტრიქონები დავეტოვოთ და ნიგნი გამოვიტოვოთ! გარდა ამისა, ვთარგმნოთ სხვადასხვა ენაზე და დიდი ტირილი გამოვიტოვოთ. განაჩენს ნოე V გამოიტანს (ნოე II და გიორგი გადაიან)...

გიორგი: ბატონო ნოე მეორევე, ერთ რამეში გამარჯვებთ: რანაირად შეიძლება სამართალს მიცემული კაცი იყოს თავისივე პროცესის პროკურორიც და მოსამართლაც?

ნოე II: ეს სამართლიანობის უმაღლესი ფორმაა! ქვეყანაში მაშინაა ყველაზე დიდი დემოკრატია და პუშინიზმი, როცა კაცი საკუთარ თავს იცავს და ასამართლებს! სინდისი ყველაფრის პირუთენელი მსაჯულია. სამწუხაროდ, ასე გამახვილებული სამართლიანობის გრძნობა ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენი პარტიის წევრებს აქვთ და ეს ექსპერიმენტიც მხოლოდ მათზე ვრცელდება.

სურათი მეხუთე

კულტურისა და მინათმობელების მინისტრის ნოე IV-ის კაბინეტი. სავარძლის უკან კიდეა ნოე პირველის დიდი სურათი: ნოე პირველს ხელი ჩაუვლია გუთნის ტარისთვის და ხნულს ავლებს, ხოლო გუთანში ფრთიანი ცხენი — პეგასია შებული. კედელზეა ნარწერა: „კულტ-ურა!!!“ და დევიზი: „მინც მღერის უჩველად, მღერის უკანასკნელად!“ ნოე მეოთხე დაბალი და შავი კაცია, ბოხი ხმა აქვს. კაბინეტში — გიორგი და ნოე IV.

ნოე IV: მე ხომ ვიცი, რომ თქვენ პარიზის სამხატვრო აკადემია გაქვთ დამთავრებული. მშვენიერია, მშვენიერია! არ დაიჯერებთ და ზუსტად თქვენ გეძებდით! რამდენჯერ დავავალე ჩემს მდივანს თქვენთან დაკავშირებას.. უკაცრავად, თქვენი სახელი?..

გიორგი: გიორგი.

ნოე IV: დიას, ჩემო გიორგი, ვეუბნები მდივანს, 22 წლის ქალიშვილია, მაღალი, გამხდარი, ქერთიანი, გვარი დამაინწყდა, დაურეკე ბატონ გიორგის, მეგობარია ჩემი, ამ მცირე სამსახურზე უარს არ გვეტყვიან-მეთქი, მაგრამ რამდენჯერაც დარეკა, პირუთენით ვერ დაგიკავშირდათ. მამინ ვიფიქრო, ალბათ პარიზშია, თორემ თვითონ დაგვირეკავდა-მეთქი, ახლაც ალბათ ჩემმა მდივანმა მოგანუდინათ ხმა ტელეფონით?

გიორგი: ტელეფონი არა მაქვს. ჩემი მოვედი.

ნოე IV: რას ჰგავს ეს?! ოთხჯერ 30 მაისს, 15 ივნისს დილის, ხოლო 28 ივლისს და 1 სექტემბრის საღამოს სხდომებზე დავაკყვე პარლამენტში ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს გახსნის საკითხი, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი, აქედან არაფერი გამოვიდეს!.. უკაცრავად, თქვენი სახელი?

გიორგი: გიორგი.

ნოე IV: ჩემო გიორგი, როგორ ფიქრობ, მე რომ თან ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრიც ვიყო, შენ ტელეფონი აქამდე არ გექნებოდა?!

გიორგი: თქვენ ბრძანეთ, გეძებდითო, მეც სწორედ ამიტომ დავბრუნდი სამშობლოში, იქნება რითიმე გამოვადგე-მეთქი და ბატონი ბრძანდებით, მიმსახურეთ!

ნოე IV: ჩემო... უკაცრავად, თქვენი სახელი?

გიორგი: გიორგი.

ნოე IV: ჩემო გიორგი, ახლა ჩვენ კულტურული რევოლუციის გადამწყვეტ ეტაპს ვუახლოვდებით, ბატონი ნოე პირველი თავის საშობაო გამოსვლაში (გვერდი 5) ხაზგასმით ლაპარაკობდა კულტურის სფეროში რევოლუციური ძვრების შესახებ. რა დაგავინწყებთ მის სიტყვებს: „ჩვენ უძველესი მინათმობელების კულტურის ქვეყანა ვართ“ (გვერდი 9). უკაცრავად, თქვენ ჩემთან, როგორც რომელ მინისტრთან მობრძანდით?

გიორგი: როგორც კულტურის!

ნოე IV: ჰო, სულ დამაინწყდა, დღეს ხომ სამშაბათია. ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს მე კულტურის მინისტრი ვარ, ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს — მინათმობელებისა. ახლა გაგაცნობთ ჩვენს ზოგიერთ მიღწევას კულტურული რევოლუციის ფრონტზე. მობრძანდით (მიჰყავს მბრუნავ დაფასთან). კლასიკური ნახატი № 1. ადგილი — „თევზაობა“. მდინარე ფსიფხე ლანძროხის გიმნაზიაში სწავლის წლებში პატივცემული და საყვარელი ბელადი აქ მოდიოდა ხოლმე და თევზების დაჭერასთან ერთად საზოგადოების განვითარების უზოგადესი კანონზომიერების დაჭერასაც ცდილობდა (გამოსახულია გვარდიელთა პატრულით დაცული მდინარის მესრით შემოღობილი ადგილი, რომელსაც ნორჩების ჯგუფი ათვალეიერებს) ნახატი № 2, კლდე — „ოლეჭკანდერი“ ქალაქ ლანძროხში, სადაც რევოლუციის დიდი მარშალი ბავშვობისას ომობანას თამაშობდა და ოცნებობდა მჩაგრელთა განადგურებაზე (აქაც იგივე სიტუაციაა). ნახატი № 3 კლდე „სა-ციტაო“ ბავშვობისას ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი ბელადი ციგით ეშვებოდა ხოლმე კლდის ამ შვერილიდან (აქაც მესერი, გვარდიელი და ბავშვები). ნახატი № 4 „ფიჭვის ხე“ ბავშვობისას ჩვენი ძვირფასი და გენიალური მამა აჭერებოდა ხოლმე ამ ხეზე, რათა ცინარტყელისათვის კულტი ეტაცა ხელი

გაზარში

იუმორისკა

— ოჰ, ეს რა კარგი ფორთოხალია!.. რა ღირს კილო?

— უცხი მანეთი!

— მომეცი ხუთ მანეთად, ხუთ კილოს ნავიღებ!

— კარგი!

გამყიდველმა აუნონა და მისცა. მყიდველმა გაუნოდა 20 მანეთი.

— ქალბატონო, ეს ცოტაა! განა არ იცი, ხუთჯერ ხუთი რამდენია?!

— როგორ არ ვიცი!.. ჩემი აზრით, ოცია! ახლა დემოკრატიაა! ახლებურად უნდა ვიზროვნოთ! ძველი რეჟიმი უნდა უარვყოთ! ახლა ყველას გვაქვს უფლება, ჩვენ ჩვენი აზრი ვიქონიოთ!

— განა მარტო შენთვის არის დემოკრატია და ახალი აზროვნება?!. ჩემთვისაც არის! ჩემი აზრით, მე მერგება ოცდაათი მანეთი! აი, ჰკითხე, თუ გინდა, ჩემს ამხანაგს! თუ დემოკრატიაა, მაშინ ხმის უმრავლესობამ უნდა გადაწყვიტოს!

— თუ საქმე უმრავლესობაზეა, მაშინ მყიდველები უფრო ბევრი ვართ, ვიდრე გამყიდველი! აი, ჰკითხეთ მყიდველებს!

მყიდველი ბევრი მოგროვდა. ბევრმა დაუბოძა.

— კენჭისყრას თავი დავანებოთ, სიმართლე უნდა დავიცვათ, ოღონდ ძველ რეჟიმს არ უნდა დავუბრუნდეთ!

მყიდველებს შორის გამოერია ერთი მოხუცი, მან განაცხადა:

— ნიკოლოზ ხელმწიფის დროსაც ხუთჯერ ხუთი ოცდახუთი იყო, მე ახლაც შემონახული მაქვს მაშინდელი ეგვტუშევსკის არითმეტიკა.

— ნიკოლოზის რეჟიმიც არ იყო კარგი, თორემ არ დაამხოდნენ! საინტერესოა, რომელი ხარტ ისტორიკოსი? რა წერია ამის შესახებ აღმაშენებლის ისტორიაში?

— მე ვარ ისტორიკოსი. ჩემი აზრით, მაშინაც ასე იყო, ოღონდ ისტორიაში ეს არ წერია!

— დავით აღმაშენებელი მაინც საბუთად არ გამოდგება. ისიც ხელმწიფე იყო. თუ იყო სადმე, როდესმე, ნამდვილი, ჩვენებური დემოკრატია და რამდენი იყო მაშინ ხუთჯერ ხუთი?

ამ დროს გამოჩნდა გამოძახებული მილიციელი, მაგრამ ისტორიკოსმა მანამდე დაამშვიდა მოდავეები:

— ნამდვილი დემოკრატია იყო ძველ საბერძნეთში. სწორედ მაშინ დაინერა დიოფანტეს პირველი არითმეტიკა, სადაც წერია, რომ ხუთჯერ ხუთი არის ოცდახუთი! სადავო საკითხები უნდა გადაწყვიტოთ მეცნიერების ცოდნით და არა საკუთარი აზრით — ხმის უმრავლესობით!

ნახ. ვ. ლოლუსანი



— შვილი ფორტებიანოზე სწავლობს და ბინის სივიწროვის გამო როიალი ვერ გვიყიდა!..

— ბინის გაფართოებას ვერ შეგპირდებით!.. თუ გნებავთ, შვილს ვიოლინოზე გადაგიყვანთ!

ზღაპარ იყო...

ხალხურ მოტივზე



ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, სხვა რა უნდა მამხდარიყო? — ახი წლიხა გამხდარიყო, ბერიკაცი მამკვდარიყო!.. ხალხი ფეხზე დამდგარიყო, ვის იტყვი, რო აქ არ იყო!.. გაზეთი მკვდრებს აცხადებდა, მისი გვარი მრავალ იყო. შარის პირას შავი ჩარჩო, შიგ ხურათი ჩამქდარიყო, ახალგაზრდა გიდიმოდა, ცოდვით გული გამსკდარიყო!.. სია გრძელი შამდგარიყო, თანხა ბლომა გამხდარიყო. ორმოც, წლისთავ, ძეგლისა და „უიგულისხმის“ ხაქმარ იყო! შემოზიდილ სანოვანის ყველგან ხვაი დამდგარიყო, მუხის კუბოში ესვენა, სხვა მოლაში აღარ იყო. ერთი კვირა გამხდარიყო, თვალზე ცრემლი გამშრალიყო, ხალხისა და მანქანების გზაში ტყვა აღარ იყო!.. იათაღი გადუყვანეს,

ხაფლავში არ ამდგარიყო!.. მედოლე „ზაკაჰ“ მდგროდა, ხავს ლუბ „შაბაშ იყო!..“ სუფრა მთელ გზას გამწვდარიყო, ყველა ჰამად დამქდარიყო. შემწვარი და მოხრაკული, რას იტყვი, რომ აქ არ იყო!.. თამადა რომ მოიქვენელობდა, მგლოვიარე ჩამტკბარიყო, ხალხი ისე დამთვრალიყო, ჯამ-კურქელი გამტყდარიყო!.. ლოთი, წუწკი მექელეხე სულ ხელიდან წამხდარიყო!.. მკვდარი ხარბი კაცინათვის ანგარება გამხდარიყო, გარდაქმნა რო მამხდარიყო, ნეტარი დრო დამდგარიყო, დასაგმობი მანენ ჩვევა ზღაპარივით გამქრალიყო!

მაშვალა ქაჩლიზვილი

(გურჯაანის რაიონი, სოფელი ვე-ლისციხე)

შალვა ადვიზილი

419
19.VII 19



გაითხვალის წინაშე ბოდიშს ვიხდით: ჩვენთვის უცნობია, ძველი წელთაღრიცხვის რომელ საუკუნეში გაჩნდა პირველი აბანო. იგი უთუოდ ყველა ხალხს უნდა ჰქონოდა, რადგან ცივილიზაციის აღმართს ქუჩყიანი კაცი ვერ შეუდგებოდა. სავარაუდოა ორიგინალური აბანო, მისი ნასესხები ფორმებიც და იმპროვიზაციაც. ალბათ გაგიგონიათ: აბანო თურქული, ფინური, რუსული, ჩვეულებრივი... რაც გვახსოვს, **სიღნაღში** ჯერ ერთი აბანო დამუწავდა, ტექნიკურად უფარგისი გახდა, მერე მისი ჩოხა მეორემ ჩაიცვა, მაგრამ მიმდევარიც უძლეური გამოდგა. როცა მოქმედებდნენ, მაშინაც კი არა ჰგავდნენ აბანოს, ზოგ-ზოგები აქებდნენ იმიტომ, რომ უკეთესი არ ენახათ, ანდა ერთმანეთს პირზე ხელს აფარებდნენ, გაჩერდი, თვალი არა ჰკრა, ესეც არ გაგვიფრინდესო! ერთმანეთისაგან რომ განესხვავებინათ, ხალხმა ერთს ძველი უწოდა, მეორეც ახლად მონათლა.

ვიცი, ბევრი არ დამეთანხმება, მაგრამ მე ჩემსას ვეცდები. **მუზეუმების ქალაქში აბანოს მუზეუმიც რომ გვექონდეს**, ვითომ რა დაშავდება? ორი ხომ უფრო აჯობებდა. შესაძლებელია, დიდსტუმრიანობისას ჩვენც გავანაწილოთ ჯგუფები, რანგისა და დამსახურების მიხედვით მოვიპატიოთ აბანოდყოფილ ობიექტებში.


კულტურის ობიექტის გახსნა ძვირი არ დაგვიჯდება, ბოქლომს გასაღებს მოვარგებთ და... არა, რემონტი რა საჭიროა, ვაითუ ნატურალური იერსახე დაკარგოს, იდეაც და მუზეუმიც ხელიდან გამოგვეცალოს!.. კომპიუტერს შეუძლია ჩაგვიკენჭოს, რაც ძველსა და ახალს, ხახადამშრალებს, ლილა გაუხუნდათ, რამდენი სანავი დაიზოგა, რამდენი H₂O, რამდენი ელექტროენერგია თავისი ნათურებით!.. უჰ, თავის გამოსაჩენად რამდენი რამ გვექნება მოსაყოლი!

აბანოს მომსახურების ავტარგი ცივ-გომბორის ბურუსმა რომ არ შთანთქას და დავინყებას არ მიეცეს, სასურველი იქნებოდა თაობათა შეხვედრების მონყობა, ვისაც მოქმედი აბანოები ახსოვს და ვისაც არ ახსოვს. გაბანებულებიც მოვიწვიოთ და ბედისგან დაჩაგრულებიც. თუ ჩვენს ფანტაზიას შევანუხებთ, დროსა და სივრცეში სხვა ღონისძიებებიც განლაგდება...

ფუჭ მოლოდინს რეალურ ტკბილ ზმანებაზე ვცვლი!

თენგიზ კახელიშვილი,
სიღნაღის რაიკოოპკავშირის ინსტრუქტორ-ორგანიზატორი.

ნახ. ბ. ზუგაშვილისა



უსიტყვოდ



სატირიკო (სატირიკო) — ჟურნალი „ნიანგი“ № 13 (1791) ივლისი. გამომდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადუიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),
კახუა ამირეჯიბი, **ნომადი ბართია**, **ბორის გურგულოა**, **რევაზ თვარაძე**, **ჭემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი). . . **ნოდარ მაღაზონია**, **ალექსანდრე ხაშსონია**, **ბეჟან ხიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი**, **თამაზ წიფვიძაძე**, **ნაფი ჭუსოთი**.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ღუნდუა

გადაეცა ასაწყობად 02.06.89 წ. ხელმოწერილია დისაბეჭდად 12.07.89 წ. ქალაქის ზომა 60X90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კბც-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 1262. უე 04670. ტირაჟი 130000. ქურნალი გამომდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემ ანქანის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფაზი 20 კპ.

ინდექსი 76187





ქართული
ბავშვობა




ანუ მოდი, ვნახოთ ავტო!

ამ ფოტოსურათებს, კაცმა რომ თქვას, ან სულ არ სჭირდება კომენტარი, ან არადა, იმ გვერდზე უნდა ვბეჭდავდეთ, სადაც მახვილგონივრული პასუხების მოლოდინში გვეკითხებიან — „რას უნდა ნიშნავდეს?“

მაგრამ იმის გამო, რომ აქ სამასხროდ სულაც არა გვაქვს საქმე, კომენტარის ნაცვლად ამჯერად რამდენიმე გულუბრყვილო შეკითხვით უნდა დაკმაყოფილდეთ:

1. რას ფიქრობენ სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელები იმაზე, რომ სოფელ ენრის ტყეებსა და ველ-მინდვრებში (ქალაქის ცენტრიდან სულ რაღაც ორიოდე კილომეტრის რადიუსში) ასე უპატრონოდ და განუკითხავადა გადაყრილი ძვირადღირებული ტექნიკა?
2. ნუთუ არავენა პასუხისმგებელი შუაგულ ტყეში გადაგდებულ სახელმწიფონომრიან მანქანებზე? (ბაიუ 59-21 და გლტ 94-27).
3. ნუთუ არავის არ უნდა აინტერესებდეს მთელი ამ კოლექციით ჯართის გეგმა მაინც შეასრულოს? მით უმეტეს, ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რა საეჭვოდ სრულდება მთელი თვის შეუსრულებელი გეგმა უეცრად და მაინცდამაინც თვის ბოლო დღეებში!
4. ეკოლოგიურ პრობლემებზე თუ არაფერი გაუგონიათ, ნუთუ მშობლიური ტყისა და ველის უმონჯალოდ დანაგვიანება მაინც არ უნდა ანუხებდეთ აქაურ ხელმძღვანელებს?
5. დასასრულ, თუ მაინც დავსვამდით შეკითხვას — „რას უნდა ნიშნავდეს?“ — მხოლოდ და მხოლოდ იმის იმედით, რომ რაიონის მესვეურები დროზე მოგვწერენ პასუხს ამ ფოტოგრაფიკაში წარმოდგენილი კადრების განსამარტავად!



ამირან კალაძე

